წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, კვირა 25 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, კვირა 25 ივნისი 1906 წ.

№ 5. ყოველ დღიური გაზეთი № 5.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ეღირება:

**თფილისში:** წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. редакція „Ахали Цховреба“

პოლონეთის და ლიტვის სოციალდემოკრატიის სიეზდი ოცდა თხუთმეტი ათას მუშის წარმომადგენელთა არ სთვლის ბოიკოტს შემცდარათ; უარჰყოფს კადეტთა სამინისტროს მოთხოვნილების მხარის დაჭერას.—ირკვევა ბელოსტოკის აკლებაში პოლიციის აქტიური მონაწილეობა.—ბათუმის სალდათები თავის რევოლიუციაში მემარცხენეებს მხარს უჭერენ.

---

კვირას, 25 ივნისს, დილის 9 საათზე დანიშნულია წლის თავი ამხანაგ

## საშა წულუკიძის

გარდაცვალებისა, რასაც ხონის ორგ. რ. ს.-დ მ. პ. აუწყებს ამხანაგებს.

---

### ალ. წულუკიძის ხსოვნას.

არიან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს.

ისინი მოკვდნენ, ისინი სამუდამოთ დაგვშორდნენ, მაგრამ მათი წმინდა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: **იბრძოლეთ სოციალიზმისთვისო!**

დიდება და სახელი მათს აჩრდილებს!

ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მადლიანი სახეები, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები, ჩვენს წინ სდგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისთვისო!**

დიდება და სახელი მათ სახეებს!

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა ჯერ კიდევ ყურებში გვიტრიალებს: **სისხლი აიღეთო!**

დიდება და სახელი მათს გამომაღვიძებელ ხმას!

ალექსანდრე წულუკიძე ასეთ პირებს ეკუთვნის, და მას ვერ დაივიწყებს პროლეტარიატი.

---

### დუმის უმრავლესობისგან შემდგარი სამინისტრო და ჩვენი ტაქტიკა.

რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო ლაპარაკობენ, რომ გორემიკინ-სტიშინსკის სამინისტროს ადგილას დანიშნული იქნება დუმის უმრავლესობისაგან ნდობით აღჭურვილი სამინისტროვო. და რადგანაც დუმის უმრავლესობას შეადგენენ ასე თუ ისე კადეტები იმათთან ერთად, ვინც იმათ უფრო უახლოვდებიან, ე. ი. დუმის ზოგიერთი მემარჯვენე ელემენტები, ამიტომ დუმის უმრავლესობის სამინისტრო ამ ჟამათ კადეტების სამინისტრო იქნება. აშკარაა, ასეთ სამინისტროს მეტათ სერიოზული მნიშვნელობა ექმნება რევოლიუციის მსვლელობაში და ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ მას რაც შეიძლება ბეჯითი ანგარიში გავუწიოთ.

ჩვენი ამხანაგების ერთი ნაწილი, ყოფილი „მეუმცირესენი“, მეტის მეტათ ამარტივებს დღევანდელ ვითარებას და სხვათა შორის გადაჭრით თხოულობს, რომ პროლეტარიატმა და რევოლიუციურმა გლეხობამ მხარი დაუჭიროს და, მაშასადამე, მოითხოვოს დუმის უმრავლესობისგან შემდგარი სამინისტრო, ასეთ ტაქტიკას ისინი ასაბუთებენ ამნაირათ:

დუმის უმრავლესობისაგან შემდგარი სამინისტრო, რაც უნდა იყოს, მაინც ოპოზიციონური იქნება, იგი განახორციელებს ზოგიერთ თავისუფლებას, ბოლოს მოუღებს დღევანდელ რეაქციას და სხვ, ამნაირათ ეს სამინისტრო მებრძოლ პარტიებს საშუალებას მისცემს უფრო ფართო აგიტაციისთვის და, მაშასადამე, ხელს შეუწყობს დამფუძნებელი კრების მოწვევას. ერთი სიტყვით, იმათი აზრით, დღევანდელი დუმის უმრავლესობისაგან შემდგარი სამინისტრო დაგვეხმარება რევოლიუციის სასურველ მიზნამდე მიყვანის საქმეში. ამიტომ პროლეტარიატმა უნდა მოითხოვოს დუმის უმრავლესობისაგან სამინისტროს დანიშვნა და მისი გამაგრება. მაგრამ ასეთი ტაქტიკა დიდი შეცდომაა, და იგი ბევრათ უფრო მოლ იპულ გზაზე შედგომას ნიშნავს, ვინემ თვით დუმაში მონაწილეობის მიღების ტაქტიკა. უწინარეს ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ დღეს მარტო რეაქციონურ სამინისტროსთან ხოდი გვაქვს საქმე. არც მარტო კამარილა უნდა გვახსოვდეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ, რა თქმა უნდა, პროლეტარიატი პარლამენტში (თუმც დუმა პარლამენტი არ არის) ყოველთვის მხარს დაუჭერდა ოპოზიციონურ სამინისტროს მაგრამ ჩვენ დღეს ვებრძვით არა მარტო რეაქციონურ სამინისტროს, არამედ ბატონ-ყმურ-აბსოლიუტურ-მონარქიულ წესწყობილებას. ასეთ პირობებში სამინისტროს დაცემა, თუნდაც უზომო რეაქციონურის, როგორიც გორემიკინ-სტიშინსკის სამინისტროა, და მის ადგილას ლიბერალური სამინისტროს დაყენება საქმეს დიდათ ვერაფერს უშველის. ასეთი სამინისტრო ყოველთვის რევოლიუციის მოღალატე შექმნილა და მომაკვდავი რეჟიმის მფარველობა უკისრია. უკეთეს შემთხვევაში ასეთ სამინისტროს დალალობის როლი შეუძლია ითამაშოს, ე. ი. ძველის და ახლის შერიგებისათვის იზრუნოს, რაც რევოლიუციის თვალთახედვით იგივე ღალატია. ეს ერთი.—გარდა ამისა დღეს ჩვენში ხდება არა პარლამენტარული ბრძოლა, არამედ რევოლიუციური: მთავრობა და ხალხი ერთი ერთმანეთს ებრძვიან არა პარლამენტში (დუმაში), არამედ ქუჩაში. ბრძოლა ჩვენ დუმაში ძირიანათ განირჩევა რევოლიუციური მოძრაობისაგან. როცა ჩვენ ასეთი ბრძოლის დროს გამოვდივართ და მებრძოლ პროლეტარიატს ვეუბნებით, რომ მან მოითხოვოს ლიბერალური სამინისტროს დანიშვნა და მისი გამაგრება, ეს საქმით რევოლიუციის დახურდავება-დაწვრილმანებაა ე. ი. რევოლიუციური ბრძოლის უარისყოფა იქმნება; ეს იქნება რევოლიუციურ ლოზუნგების ბურჟუაზიულ-მონარქიულ ლოზუნგებზე დახურდავება და გაცვლა. ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუციამ უკიდურეს ზომამდე დაასუსტა თვითმპყრობელობა. რევოლიუციამ გამოაცალა მას უკანასკნელი საფუძველი, მაგრამ ეს თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ არსებობს, და მხოლოთ რევოლიუციურ ბრძოლას ძალუძს მისი სრულიად გაუქმება და არა ლიბერალურ-კადეტურ სამინისტროს. პირიქით, ასეთი სამინისტრო ძველი რეჟიმის საბოლოო ლიკვიდაციას დროებით კიდევაც შეაჩერებს. ასეთი სამსახური ერთხელ უკვე კიდევაც გაუწიეს კადეტებმა რუსეთის თვითმპყრობელობას, როცა არჩევნებში მონაწილეობის მიღებით მთავრობას საშუალება მისცეს სესხი ეშოვნა; კადეტების სამინისტროს ახლაც შეეძლება მსგავსი სამსახური გაუწიოს მონარქიულ წესწყობილებას. ამის საფუძველს გვაძლევს ერთი მხრით კადეტების ლიბერალური ფრაზეოლოგია, ტყუილი დაპირებები ფართო თავისუფლებაზე და ეკონომიურ რეფორმებზე და მეორე მხრით მათი შიში რევოლიუციის წინაშე და ერთგულება მონარქიის (გაიხსენეთ სტრუვეს, როდიჩევის, მურომცევის, დოლგორუკოვის, კოტლიარევსკის და სხვების ნაწერები და სიტყვები). კადეტები საერთოთ მონარქიის, ერთგული დამცველები და მისი ნამდვილი მეგობრები არიან. იმათ არა სწამთ მხოლოთ ბიუროკრატიის აულაგმავი თვითნებობა და ტლანქი ფიზიკური ძალმომრეობა, და ყოველგვარი კანონის და კანონიერების გათელვა... ჰო, ისინი კანონიერების დიდი მოტრფიალენი არიან! იმათი აზრით, რაც ამათ არა ერთხელ საჯაროთ უთქვამთ, რუსეთში არ ვარგა არა კანონები, არა წესწყობილება, არამედ არ ვარგიან კანონის აღმასრულებელნი. მეფე პასუხის მგებელი არ არის იმ დანაშაულობებში, რომლებსაც მისი სახელით ჩადიან მინისტრები და სხვა მსხვილი და წვრილი მოხელეებიო. აქედან აშკარაა, თუ რა ცვლილებას უნდა მოველოდეთ, როცა მთავრობას სათავეში კადეტების სამინისტრო მოყვება: დასჯა უფრო რბილ სახეს მიიღებს; ტლანქი ფიზიკური ძალმომრეობის ადგილს კანონიერება დაიჭერს, მაგრამ თვით წესწყობილება სანახევროთ მაინც ისევ წინანდელი დარჩება. ეჭვი არ არის, ეს გარემოება რამდენიმეთ დასწევს რევოლიუციის ტალღებს. დღეს იმას ვერავინ უარს ვერ ჰყოფს, რომ მთავრობის მოუხეშავმა პოლიტიკამ და მძვინვარე რეპრესიულმა ზომებმა რევოლიუცია უფრო გააღრმავა და იგი იქამდის მიიყვანა, რომ მონარქიის არსებობა გასაცდელში ჩავარდა. ამას დღეს უფრო გონიერი რეაქციონური ელემენტები აშკარათ ხედავენ. ამასთანავე ისინი იმასაც ხედვენ, რომ თუ ვისმეს ძალუძს დღეს მონარქიის ბედის ხსნა, ეს ისევ კადეტების პარტიას. და კიდევაც ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კადეტებს ამჟამათ მხარს უჭერს შავრაზმელების ისეთი ორგანო, როგორიც არის „ნოვოე ვრემია“. „ყველაზე უფრო გონიერი და ნაციონალური პარტია დუმაში—სწერს ხსენებულ გაზეთის სულის ჩამდგმელი მენშიკოვი— კადეტების პარტია არის... აი ამისთვის მე გულახდილათ ვქადაგებ კავშირს ამ პარტიასა და მეფეს შორისო“ (№ 10866). ნუ დაივიწყებთ, რომ ამას ამბობს ის გაზეთი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ, ე. ი. იმ დროს, როცა კადეტების ფიზიონომია უმეტესობისთვის უცნობი რამ იყო, კადეტებს მეფის მოღალატეებათ თვლიდა და ურიებისაგან შეყიდულ პარტიათ სახავდა. ნუ თუ უსაფუძვლოთ გამოიცვალა შავრაზმელთა გაზეთმა თავის შეხედულება?

არ იფიქროთ, რომ ჩვენ კადეტებისაგან შემდგარი სამინისტრო გვაშინებდეს, პირიქით, თუ შედარებაზე წავიდა საქმე, ჩვენთვის ის უფრო ხელსაყრელი იქმნება, ვინემ გორემიკინის სამინისტრო, მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ იმას, რომ პროლეტარიატი დღეს ასეთ სამინისტროს მხარს ვერ დაუჭერს, თუ მას არ უნდა რევოლიუციურ ბრძოლაზე ხელის აღება. ჩვენდა საბედნიეროთ გარდა ლიბერალურ ბურჟუაზიისა დღეს არის ამავე ბურჟუაზიის უფრო დემოკრატიული, უფრო რევოლიუციური ელემენტები. ასეთი ელემენტია დღეს გაჭირვებული, შშიერი და მიწასთან გასწორებული გლეხობა, რომელიც უკვე რევოლიუციურ ბრძოლაში ჩაება და რომლის ფეხზე წამოყენება რევოლიუციის გაუმარჯვებლათ ყოვლათ შეუძლებელია. მართალია არჩევნებზე გამარჯვების დროს, კადეტებმა თავის პარტია სახალხო პარტიათ გამო-

ახალდეს, ე. ი. გლეხობის დამცველებათ დასახეს თავის თავი, და ზოგიერთ გულუბრყვილოებმა მართლა მიიჩნიეს მათი გავლენა გლეხებზე, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა.

დღეს კადეტებისათვის აშკარა შეიქმნა რომ ხალხმა იმათგან პირი იბრუნა. გლეხების წარმომადგენლები დუმაში იმათგან სულ უფრო და უფრო მარცხნით იწევენ და სულ უფრო და უფრო სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისაკენ იხრებიან. ამიტომ თუ წინეთ კადეტებისაგან შემდგარი სამინისტრო თუ ყველას შესაძლებელი მიაჩნდა, დღეს ამას ბევრი ეჭვის თვალით უყურებს, ❁ თვით განსაკუთრებით მემარცხენე კადეტებს, ასეთი სამინისტრო შეუძლებლათაც მიაჩნიათ (იხ. გაზ. „ნაშა ჟიზნ“, № 444. წერილი: შესაძლებლათ თუ არა კადეტების სამინისტრო?) კადეტები ხედავენ, რომ ერთი მხრით ხალხის მოძრაობა სულ უფრო და უფრო წინ მიდის, რევოლიუცია მაღლა იწევს, და მეორე მხრით ამჩნევენ, რომ მათ ხალხში გასავალი აღარ აქვთ, ნდობა ეკარგებათ. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში იმათ გაუჭირდებათ მთავრობასთან მორიგება, მასთან კავშირის შეკვრა ხალხში უფლებების და ბატონობის გასანაწილებლათ. ამიტომ ისევ ცდილობენ ხალხის ნდობის დაბრუნებას. ასეთ დროს თუ მათ სამინისტროს პროლეტარიატი მხარს დაუჭერს და გაამაგრებს, ეს იმათი ღალატის, იმათი ძალადობის ხელის შეწყობა იქნება. კადეტებიც, რა თქმა უნდა, მხოლოთ ასეთ დახმარებაზე, ასეთ ზურგის გამაგრებაზე ლაპარაკობენ; ეს იმათთვის საჭიროა, ვინაიდან, იმათი აზრით, თუ ხალხმა მარცხნით გაიწია და თავის ხელმძღვანელობა თითონ მოინდომა, მაშინ კადეტებს იმედები გაუცრუვდებათ. ისინი დაინტერესებული არიან, იმით, რომ რევოლიუციურ მოძრაობას ბოლო მოეღოს და ხალხის ბატონობა იმათ შერჩეთ ხელში. მაგრამ განა შესაძლებელია დღეს კადეტებისადმი ნდობის გამოცხადება, როცა ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხალხს ღალატობენ, გლეხების წარმომადგენლების თითქმის ყველა წინადადებებს დუმაში ზურგს უქცევენ, უარსყოფენ აგრარულ კომიტეტებს, იგონებენ სხვადასხვა კანონპროექტებს, როცა იმათ ისე დატყუილება სურთ გლეხების როგორც ეს 1861 წელს მოხდა. განა შეიძლება პროლეტარიატმა მხარი დაუჭიროს კადეტების სამინისტროს, როცა სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის დეკლარაციაში აღნიშნული მოთხოვნები იმათმა ბელადებმა ანარქიზმის სახელით მონათლეს? არა, ასეთ სამინისტროს პროლეტარიატი დღევანდელ პირობებში მხარს ვერ დაუჭერს. ვიცი მეტყვი: კადეტების სამინისტროს იმედი ჩვენ სრულებით არა გვაქვს, მაგრამ იმათ დიდი ნდობა აქვთ ხალხში, და, აი, ჩვენ მოწადინებული ვართ, რომ ეს ნდობა ხალხში გაქრეს, რაც შეიძლება ჩქარა, ამაზე, აი, რა უნდა ვუპასუხო: ის გარემოება, რომ ვითომც კადეტებს ხალხში დიდი ნდობა ჰქონდეს, როგორც ზევით დავინახეთ, სიმართლეს მოკლებულია. მაგრამ მართლაც, რომ ეს ასე იყოს, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმათ სამინისტროს მხარი დავუჭიროთ, თუ კი ჩვენ წინდაწინ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ისინი ჩვენ ნდობას და დახმარებას ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებენ. ან შეიძლება ჩვენ იმათი გამოცდა გვინდა? მაგრამ ასეთი გამოცდა მეტათ სახიფათოა. რევოლუციური პროლეტარიატი თავის ეკლიან გზაზე ვერ იკისრებს ისეთ ნაბიჯის გადადგმას, რომელიც მან წინდაწინ იცის, რომ უნდა დაგმოს, ვერ იკისრებს ისეთ პარტიის ზურგის გამაგრებას, რომლის ღალატშიაც იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე რწმუნდება. დეე, კადეტებმა შეადგინონ თავისი სამინისტრო, დეე, ჩაიგდონ იმათ ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავე, ამაში ჩვენ მათ მხარს არ დაუჭერთ. იმის გამოყენებას ჩვენ შევძლებთ თვით კადეტების დასამარცხებლათ და პროლეტარიატის გასამარჯვებლათ. პროლეტარიატისთვის ეს მით უფრო სასარგებლო იქნება, რაც უფრო ჩქარა მოხდება.

—ე.

## სადღეისო კითხვები.

### შეურყეველი კავშირი

გუშინწინდელი დღე, 22 ივნისი, დიდებული დღე იყო. იგი სავსებით ეკუთვნის თბილისის პროლეტარიატს, მან გამოაჩინა პროლეტარიატის ძალა, მან დაგვანახვა, თუ რა ნდობა აქვს მას მოპოვებული 200 ათას მოქალაქეთა თვალში. მიუხედავათ იმისა, რომ პროლეტარიატს თავის განკარგულებაში არა აქვს თოფზარბაზნები და ტყვია წამალი, მიუხედავათ იმისა, რომ მას არა ყავს დარაზმული და გაწვრთნილი შეიარაღებული ჯარი თავის დადგენილებების სისრულეში მოსაყვანათ, იმის ხმას, იმის სიტყვას ყველა ისმენს. გუშინ პროლეტარიატის ერთი უბრალო მოწოდებით ქალაქში დილიდანვე შეწყდა ყველაფერი შეჩერდა ყოველგვარი მოძრაობა ქარხნებში, ფაბრიკებში, სახელოსნოებში ტრამვაიზე, რკინის გზაზე, დაიკეტა ყველა საალებ-მიცემო და სამრეწველო დაწესებულებები, დუქნები და დაცარიელდა ქუჩა, — ერთი სიტყვით ქალაქში ერთბაშათ შეწყდა ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა; ასე გვგონებოდათ ამოდენა ქალაქი თითქოსა მოწყდაო. ამ საერთო მყუდროებას და სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ მთავრობა. მოხელეების, პოლიციელების, კაზაკების ❁ ჟანდარმების არა ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი. თუ მთელი ქალაქი ქუჩიდან გაიხიზნა, მთავრობის აგენტები სამაგიეროთ დაცარიელებულ ქუჩებში დაძრწოდნენ, იმავე დროს ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე გამოეტანათ, ერთათ ერთი თავის ავლა-დიდება — ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები!

რა იყო? რა მოხდა? — ამ დღეს ასამართლებდნენ მინგრელსკის პოლკის 27 სალდათს, ე. ი. 27 მოქალაქე-ჯარის კაცებს. რა დანაშაული მიუძღვით ამათ? მათი დანაშაული ის არის, რომ დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას ისინი არ ჩამორჩნენ; იმათ დაამშვეს ის, რომ ხალხის მტარვალებს ზურგი შეაქციეს და იმ ხალხის ზურგის გამაგრება განიზრახეს, რომლიდგანაც ისინი გამოსულნი არიან. იმათი დანაშაული ის არის რომ იმათ არა თუ სიტყვით, არამედ საქმით დაგმეს გამათ ხსირებელი წესწყობილება, სალდათების დისციპლინა, რომლის მეოხებით სალდათი უბრალო მანქანათ, უსულო არსებათ არის გადაქცეული და მის პიროვნებას, მის ადამიანურ ღირსებას ურცხვათ ჯოჯგნის და თელავს ყველა ბილწი და გარყვნილი არსება, უკანასკნელი ეფრეიტერიდან დაწყებული ემალლეს გენერალამდე. აი ვინ არიან ის 27 ჯარის კაცი, რომელთაც დღეს მთავრობა ასამართლებს. პროლეტარიატმა იცის, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი სამართალი! მან კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს, ასეთი სასამართლოში გასამართლება. ამიტომ იგი ვალდებული იყო ენერგიული პროტესტი გამოეცხადებია ასეთი გასამართლების წინააღმდეგ, და ამისთვის მან გადაწყვიტა ერთი დღის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოეცხადებია თბილისში. პროლეტარიატმა ამასთანავე მოითხოვა; 27 ჯარის კაცის სრულიად განთავისუფლება, სიკვდილით დასჯის მოსპობა და დამფუძნებელი კრების მოწვევა. ასეთი გაფიცვა პროტესტი, რამდენათაც ვიცით, მეორე მაგალითია რუსეთის დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პირველათ ასეთი გაფიცვა-პროტესტი გამოაცხადა შარშან, ოქტომბრის თვეში, პეტერბურგის პროლეტარიატმა მატროსების სამხედრო სამართალში მიცემის გამო და

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## რეორგანიზაცია თბილისში.

მწვავდება კლასიური ბრძოლა და მასთან ერთათ იცვლება ბრძოლის ფორმები. მთავრობა და ბურჟუაზია დღითი დღე იცვლიან ბრძოლის იარაღებს — ფული და კანონი, რომლებიც დღეს მათ ემსახურება, შეძლებას აძლევს მათ ბრძოლის საშვალებანი გააუმჯობესონ. მაგრამ პროლეტარიატსაც აქვს ბრძოლის იარაღი, — ეს იარაღი მისი კლასიური ორგანიზაციაა. ორგანიზაცია კი დღითი დღე უნდა იცვლებოდეს და უმჯობესდებოდეს. დრო იყო, როცა პროლეტარიატის მოძრაობას მასიური ხასიათი არა ჰქონდა — მაშინ ორგანიზაციაც ვიწრო და უსუსური იყო, მაგრამ დღეს, როცა მოედანზე მასა გამოვიდა, ორგანიზაციაც ფართოვდება და მასიურ ხასიათს იღებს. რაც უფრო მწვავდება კლასიური ბრძოლა, მით უფრო ხშირათ იცვლება ბრძოლის ფორმები, ხოლო რაც უფრო ხშირათ იცვლება ბრძოლის ფორმები, მით უფრო ძირიანათ უმჯობესდება ორგანიზაცია, მით უფრო საძირკვლიანათ სწარმოებს რეორგანიზაცია. ორგანიზაცია არ არის მარტო ბრძოლის იარაღი, ის იმავ დროს შკოლაა, სადაც მასსა იწვრთნება და დღითი დღე ეწევა თავისი საქმეების გაძღოლას. ცხადია, მით უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რეორგანიზაციას.

რეორგანიზაცია ეს უკეთესი ორგანიზაციის აშენებაა. ამიტომაა, რომ ამხანაგები დაჟინებით ითხოვენ რეორგანიზაციას და გადაჭრით ახორციელებენ მას — იმი უკეთესი ორგანიზაცია უნდათ. ცხადია, რაღაც ნაკლულევანება ჰქონია არსებულ ორგანიზაციას, რომლის გამოაშკარავება აუცილებელია.

რაში შესდგება ეს ნაკლულევანება?

პირველი ნაკლულევანება იმაში შესდგება, რომ პროფესიონალური და პარტიული ფუნქციები გაყოფილი არაა ერთმანეთისაგან, რის გამოც ხელმძღვანელი ორგანიზაცია იძულებულია უხელმძღვანელოს როგორც საერთო პარტიულ საქმეს, ისე კერძო და წვრილ-წვრილ პროფესიონალურ საქმეებს, გაფიცვებს და სხვა. რადგანაც ყველა ამ ფუნქციების შესრულება შეუძლებელია ერთი და იგივე ორგანიზაციისაგან, ამიტომ საქმით ისე გამოდის, რომ ორგანიზაცია ვერც ერთ ამ საქმეს ვერ ხელმძღვანელობს რიგიანათ, — ვერც პროფესიონალურ ინტერესებს აკმაყოფილებს და ვერც პარტიულს. რა თქმა უნდა, დღემდის, სანამ მოძრაობას მასიური ხასიათი არ ჰქონდა, სანამ მოძრაობა ვიწრო კალაპოტში სწარმოებდა, — ასე თუ ისე შესაძლებელი იყო ორივე საქმის გაძღოლა; მაგრამ დღეს, როცა მოძრაობა გაფართოვდა, როცა მან ნიაღვარივით გადახეთქა ძველი ორგანიზაციული კალაპოტი, — პირდაპირ შეუძლებელია, რომ ორივე ფუნქციები ერთმა და იგივე პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასრულოს (ჩვენ აქ არ ვეხებით იმ კითხვას, თუ რამდენათ სოციალდემოკრატიული იქნებოდა პარტიული ორგანიზაციებისგან არა პარტიულ ორგანიზაციათა ფუნქციების შესრულება) აქედანვე შეიძლება თამამათ ითქვას, რომ სანამ პროფესიონალური, ან გაფართოებული ცეხის ორგანიზაციები არ შეიქნება, მანამდე შეუძლებელი იქნება, ცოტათ თუ ბევრათ, რიგიანი რეორგანიზაციის გატარება. პროფესიონალური საქმეებისათვის პროფესიონალური (ან გაფართოებული ცეხის) ორგანიზაციები, პარტიული საქმეებისათვის — პარტიული ორგანიზაციები, აი რა ნიადაგზე უნდა აშენდეს რეორგანიზაცია. პირველებში უნდა შედიოდეს ყველა ის, ვინც ხაზეინებთან ბრძოლის მომხრეა, განურჩევლათ მისი პოლიტიკური მიმართულებისა: ხოლო მეორეებში უნდა შედიოდნენ ყველა პარტიის წევრები, განურჩევლათ პროფესიისა. ჩვენდა სასიხარულოთ უნდა აღვნიშნოთ. რომ შრომის ასეთი დანაწილება დღეს უკვე თავის თავათ ხდება, პროფესიონალური კავშირები თავის თავათ იბადება, ესენი ხელადებით კისრულობენ თავიანთი საქმეების გაძღოლას, და ამგვარათ, ნიადაგი იწმინდება წმინდა პარტიული მუშაობისთვის — პარტიულ ორგანიზაციას პროფესიონალური ტვირთი შორდება. ასე თავისთავათ ისპობა ორგანიზაციის პირველი ნაკლულევანება.

მეორე ნაკლულევანება იმაში შესდგება, რომ პარტიული ორგანიზაციაში სავსებით ვერაა გატარებული დემოკრატიზმი. პეტერბურგელი მუშა, ამხ. პეტროვი, სამართლიანათ ამბობს, რომ პარტიული დემოკრატიზმი მხოლოთ ქაღალდზე სწერია, ის ჯერ ვერაა განხორციელებული ჩვენს პარტიაშიო. ესევე უნდა ითქვას ჩვენს ორგანიზაციაზე. ის ფაქტი, რომ პარტიული მასსა კმაყოფილი არაა ხელმძღვანელი ორგანიზაციით, ის ფაქტი რომ ზოგიერთა ამხანაგები უკვე ჩამოშორდენ ორგანიზაციას და ცალკე ჯგუფები შეადგინეს, ის ფაქტი, რომ ამხანაგებში თანდათან ვრცელდებ ხმები „პარტიულ აზნაურებზე“ და „პარტიულ ხიზნებზე“, — ყველა ეს ფაქტები აშკარათ გვიჩვენებს, რომ აუცილებელია, ჰაერზე აუცილებელია ნამდვილი ფაქტიური დემოკრატიზმი. არ ვარგა, სამართლიანი არ იქნება, რომ პარტიული მასსის უკმაყოფილება სხვა რამ შემთხვევითი მიზეზებით ავხსნათ — ეს თავისი თავის მოტყუება იქნებოდა. არც ის იქნებოდა სამართლიანი, რომ ჯგუფებზე ხელი ჩაგვექნია და ზურგი შეგვექცია: ლაპარაკი არ უნდა, რომ ისინი შესცდნენ, როცა ორგანიზაციიდან გავიდნენ, მაგრამ ცხადია აგრეთვე ის, რომ მათი მოთხოვნა — ნამდვილი დემოკრატიზმი — სამართლიანი მოთხოვნაა და სახეში მისაღები, და რაკი რეორგანიზაცია დემოკრატიზმის ნიადაგზე ხდება, ამხანაგების მოვალეობაა შემოერთებისკენ მოუწოდონ „ჯგუფისტებს“. ნამდვილი დემოკრატიზმი-კი იმაში შესდგება, რომ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული მასა მოქმედებდეს, პარტიული მასსა სჯიდეს, როგორც პარტიულს, ისე საერთო პრაქტიკულ კითხვებს, პარტიულ მასსას გამოჰქონდეს **თავისი რეზოლიუციები** და ავალებდეს თავის ორგანიზაციებს ამ რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარებას. დემოკრატიზმი არ შესდგება მარტო დემოკრატიულ არჩევნებში. **არჩევნების** დემოკრატიზმს ჯერ კიდევ ვერ დაერქმევა ნამდვილი დემოკრატიზმი: ნაპოლეონ მესამე საერთო ხმის უფლებით აირჩიეს, მარა ვინ არ იცის, რომ ეს არჩეული იმპერატორი ხალხის უდიდესი

პოლშაში სამხედრო წესების შემოღების გამო. ამნაირად პეტერბურგის პროლეტარიატმა პირველათ დაამტკიცა, თუ რა სოლიდარობა არსებობს მუშებსა და სალდათებს შორის. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ მატროსები აღარ იქნენ მიცემული. რა შედეგი ექნება ამ მხრით გუშინდელ გაფიცვა-პროტესტს თბილისში, ამის გამოცნობა არ შეგვიძლია. მაგრამ, რაც უნდა იყოს 22 ივნისის გაფიცვა—პროტესტს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ერთავათ აბრუნებს მდგომარეობას. იგი რკინის მაგარი რგოლებით აკავშირებს პროლეტარიატს და საზოგადოთ მშიერ ხალხს ჯართან, იგი აშკარათ ღაღადებს თუ ვინ არის საზოგაების ნამდვილი მეგობარი და ვინ არის მათი შეურიგებელი მტერი, მჩაგვრელი-მტარვალი. ლოზუნგი: რევოლიუციური პროლეტარიატის და რევოლიუციური ჯარის კავშირი ამიერიდან სინამდვილეთ იქცა. აი მნიშვნელობა და ნაყოფი 22 ივნისის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისა.

# ახალი ამბები

გუშინ თბილისის სადგურის მაშინისტებმა, მათმა თანაშემწეებმა, კანდუქტორებმა და სხვებმა გადასწყვიტეს, განაგრძონ გაფიცვა, სანამ ამიერ კავ. რკ. გზაზე არ გააუქმებენ სამხედრო დროის წესებს არ ფაათავისუფლებენ დატუსაღებულ ამხანაგებს და არ დაითხოვენ გზათა უფროს ნეიგბაუერს.

✦ ამ დღეებში მეტეხის ციხიდან გამოუშვეს ამ ორი თვის წინედ გაზეთ „ერ ვის“ რედაქციაში დაპატიმრებულნი: თ. კიკვაძე, პ. იაშვილი, ნ. კალაძე ვ. გოგუა, ი. ფალიაშვილი, შ. ომიაძე და სოფიო უთნელიშვილისა.

✦ გუშინ წინ ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსმა ნეიგბაუერმა თბილისის სადგურზე დაატუსაღა ორი მემანქანე—ცვეტკოვი და ჩიკულაევი; დღეს

დამმონავებელი იყო? ჩვენ მოქმედების დემოკრატიზმზე გვაქვს ლაპარაკი, როცა პარტიული მასსა თითონვე სჭრის კითხვებს და თითონ მოქმედებს, და აი, ჩვენ ვამბობთ, რომ სწორეთ ასეთი დემოკრატიზმი უნდა დაედოს სარჩულათ ჩვენს სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციას.

წესდების პროექტი, რომელიც სარაიონოთა შორისო კრებამ მიიღო, სწორეთ ამ ნიადაგზეა აშენებული (იხ. „ახ. ცხ.“ № 1, 3.) ის მხედველობაში იღებს როგორც დღევანდელ პოლიტიკურ პირობებს, ისე პარტიული დემოკრატიზმის საჭიროებას, ამისდა თანახმათ იძლევა შესაფერის პლანს პარტიული ორგანიზაციისა. თუ პარტიული ამხანაგები შეეცდებიან, ოლქთახუთთა ორგანიზაციები შესანიშნავათ ისარგებლებენ თავიანთი უფლებებით. მათი შეკრება ძალიან აღვილია, მაშასადამე მათ არც ერთი პარტიული და საერთო პრაქტიკული კითხვა არ გამოეპარებათ; თუ წარმომადგენელი არ უვარგათ, მათ შეუძლიათ მისი უკან გაწვევა, თუ საერთო გარდაწყვეტილება დაძველდა, მათ შეუძლიანთ 500 ხმა შეკრიბონ, ერთი რაიონი მიიმხრონ და ამგვარად ხელახლათ დააყენონ კითხვა გადასაჭრელათ და სხვა და სხვა ამისთანები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი ორგანიზაციები იძულებული იქნებიან პარტიული მასსის სურვილები შეასრულონ რაც ასე საჭირო პარტიული ორგანიზაციის გასაძლიერებელ-გასამაგრებლად.

კობა.

მოიწვია თავის კანცელარიაში რკინის გზის მოხელე პრუტი და მეტეხის ციხეში გაგზავნა ერთი თვის ვადით. ამბობენ გ. ნეიგბეუერს განზრახვა აქვს დაატუსაღოს ყველა ის მემანქანე და მათი თანაშემწენი, რომლებიც 22 ივნისს სამუშაოდ არ გამოვიდნენ, იმ 22 კაცს გარდა რომელიც უკვე დაითხოვეს სამსახურიდან.

✦ რკინის გზის უფროსის ბრძანებით დროებით დაიკეტა დეპო და სახელოსნოები, სანამ მთავრობა არ გამოარკვევს იმ მიზეზებს, რომელთა მეოხებით მუშებში მუდმივი მღელვარება სუფევს.

✦ ბაქოდან გვატყობინებენ: ტაგიევის ქარხნის მუშებმა დ პეშა გაუგზავნეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ისიდორე რამიშვილს თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. უმრავლესობა მუშებისა მაჭმადიანნი არიან.

✦ გუშინ ქალაქის თავმა ჩერქეზიშვილმა მიიღო დეპეშა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ნ. ჟორდანიასაგან, რომელიც ატყობინებს მას, რომ სახელმწიფო სათათბირომ გადასწყვიტა მოსთხოვოს სამინისტროს დაწვრილებითი ცნობები ტფილისში მომხდარ ამბების შესახებ.

✦ ავჭალიდან გვატყობინებენ, რომ იქ მოუკლავთ თავის ბინაზე ვ. ხახაშვილი. ხახაშვილს ჯაშუშობას აბრალებენ.

✦ გუშინ შუა ბაზარში დასჭრეს მეოთხე ნაწილის უბნის ზედამხედველი ლაზარევი. ტყვია კისერში მოხვედრია და ყბაში გაჩერებულა. ქრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა.

✦ 25 ივნისს ტფილისის ს ბჭოს დარბაზში კრება ექნება ტფილისის ამომრჩეველთა საგანგებო კომისიას მიმდინარე საკითხების განსახილველათ.

# პრესა

გლეხთა პარტიის ცენტრ. კომ. ორგანო „სოვრემენნაია ჟიზნი“ სალ შეხედულებას გამოთქვამს სათათბიროს უმრავლესობისაგან შე'დგარ სამინისტროს შესახებ. როცა ასეთი სამინისტრო შესდგება.

„სათათბიროს უმრავლესობა, აუცილებლივ, მარჯვნით გადიხრება და კავშირს გასწყვეტს მემარცხენე პარტიებთან... სათათბიროს უმრავლესობის ზნეობრივი მ იშვნელობა ძლიერ დაეცემა და ცოტა ხანში ყოველივე პრაქტიკულ მნიშვნელობასაც დაკარგავს.

ერთი სიტყვით, კადეტები თავიანთ მიზანს მიაღწევენ, პორტფელებს ხელში ჩაიგდებენ, მთავრობას დაუკავშირდებიან, რევოლიუციას-კი ზურგს შეაქცევენ და მის „ჩაცხრობას“ შეეცდებიან. სათათბიროს უმრავლესობა, რომელიც ამ ჟამათ მთავრობას ოპოზიციაში უდგას, მაშინ რევოლიუციას ჩაუდგება ოპოზიციაში და „ლიბერალური რეაქციის“ სახით მოევლინება რუსეთის მოძრაობას.

### მეტეხის ციხე.

20 ივნისს მეტეხის ციხე საუცხოვო სურათს წარმოადგენდა; ეს ცოცხალ ადამიანთა აკლდამა ამ დღეს ბრძოლის ასპარეზათ გადაიქცა, სადაც ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი ძალა, ძალა ცოცხლათ დამარხულთა და მათ დამმარხველთა. სულთმომძრავ მთავრობის უკანასკნელი წამები ტუსაღებისათვისაც მძიმე და აუტანელი გახდა და, აი, მათაც აღამაღლეს ხმა მტარვალთა წინაღმდეგ და გამოაცხადეს: სიკვდილი ან ადამიანის ადამიანათ აღიარებაო!

რაც 20 ივნის აქ მოხდა ეს არ ყოფილა ერთი, ან ორი დღის განმავლობაში შევუბებულ უკმაყოფილების გადმოხეთქვა „მეტეხელთა“ გულიდან. ის დაიწყო და მზადდებოდა იმ დღიდან, როცა ციხის უფროსათ ვილაც ბარისევიჩი ჩადგა (მაისის ბოლო რიცხვებში). ეს გმირი, როგორც ეტყობა, ციხის „უსტავზეა“ აღზრდილი და მის სრულ განხორციელებას წარმოადგენს. შედგა თუ არა ციხეში ფეხი, მისი ყურადღება აქაურმა „უწესოებამ“ მიიპყრო. ეს უწესოება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ პოლიტიკურები დღისით კლიტით არ იყვნენ დაკეტილი და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა შეეძლოთ, „უგოლოვნებიც“ ხან-და-ხან „ნება დაურთველათ“ გამოდიოდნენ აყროლებულ ოთახებიდან აივანზე და, გარდა ამისა ეზოში სეირნობის დროს პოლიტიკურებთან ახლოს მიდიოდნენ სალაპარაკოთ.—ეს „უსტავში“ არა სწერიაო და განიზრახა შებრძოლებოდა ამ „ბოროტებას“. დაიწყო იმით, რომ საავათმყოფოში მსხდომ პოლიტიკურ ქალებს და კაცებს ერთათ სეირნობა და სიმღერა აუკრძალა. ამხანაგები ამ განკარგულებას არ დაემორჩილენ, ის დაემუქრა. ამის შემდეგ ყველა დანარჩენმა პოლიტიკურებმა (ეგრეთ წოდებულ ძველ შენობაში მოთავსებულთ) მოიხმეს უფროსი და განუცხადეს, რომ ის, უფროსი, ტყუილათ ცდილობს მათ პირობების შევიწროებას: მხოლოდ ხიშტების ძალით შეგიძლიათ მოგვისპოთ ის პირობები, რომლებითაც დღემდის ვსარგებლობდით, ნებით და სისხლის დაუღვრელათ-კი ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ დაგითმოთო“ ო, აუწყეს მას. ამის შემდეგ გულჩათუთქული უფროსი „შეურიგდა“ „უსტავის“ დარღვევას, მაგრამ ის მაინც თითქმის ყოველ დღე უღრინავდა „თავხედ“ რევოლიუციონერებს. ასე გასტანა 10 ივნისამდე. ამ დღეს ციხიდან გაიქცა 9 პოლიტიკური (ორი მაშინვე შეიპყრეს) და აი უფროსსაც ამის შემდეგ თავისი „უსტავის“ სისრულეში მოყვანის შემთხვევა მიეცა. მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა. პოლიტიკურებმა მეორე დღესვე გაალებინეს კარები. არ გაუღეს მხოლოდ საავათმყოფოში მოთავსებულ ქალებს. ისინი მთელი დღე დაკეტილებში ყავდათ და თითო საათს უშვებდენ გარეთ სასეირნოდ. ამ თვის 16-ში ქალებმა, (ექვსია სულ. ზოგი მათგანი ჭლექით ავათმყოფია) სეირნობის გათავების შემდეგ კამერებში შესვლაზე უარი განაცხადეს და მოითხოვეს ძველი პირობების აღდგენა.

ამის პასუხათ უფროსმა 5 ხიშტიანი სალდათი მიიყვანა, ერთმა სალდათმა გამოიღო ხელი და ტუსაღებს კონდახით დაუწყო ცემა; ამ სალდათის და 6 ციხის დარაჯის შემწეობით ქალები ძალით შეათრიეს კამერებში. ამის შემდეგ ქალებს სასეირნოთ სულ აღარ უშვებდენ და მთელი დღე-ღამე დახურულ ოთახების მყრალ ჰაერში ყავდათ გამომწყვდეული. დანარჩენმა პოლიტიკურებმა 17 ამ თვეს დეპუტატები გაუგზავნეს უფროსს და მოსთხოვეს ამხ. ქალების კამერებიდან კლიტეების ახსნა და მათი სასეირნოთ გამოშვება. დეპუტატებს უფროსმა „უსტავზე“ და თავის უფლებებზე მიუთითა და გამოუცხადა, მე არავითარ დეპუტაციას არ ვღებულობო. 19 ამ თვეს სადილობის დროს პოლიტიკურებმა უფროსი კამერებში დაიბარეს, ამ დღეს „ბორში“ მატლებიანი აღმოჩნდა და სხვათა შორის ამაზედაც უნდა მოელაპარაკნათ. უფროსმა თავის მაგივრათ დარაჯთ-უხუცესი გაგზავნა, იმ მიზნით, რომ მათი კარებისათვის კლიტები დაედვა. ამ საქციელმა პოლიტიკურები საშინლათ გააბრაზა და დარაჯთ-უხუცესი კუდ-ამოძუებული დაა ბრუნეს უკან. მაშინ უფროსმა სამხედრო ყარაულის ოფიცერს მიმართა და 20 სალდათი მოსთხოვა „ბუნტის“ ჩასაქრობათ. ოფიცერი წაუძღვა სალდათებს და მივიდა პოლიტიკურებთან. მაგრამ, როცა ნახა, რომ იქ არაფერი „ბუნტი“ არ იყო,-უკანვე დააბრუნა სალდათები და პროვოკაციულ საქციელზე უფროს შესაფერი პროტესტი გამოუცხადა. ასეთი ჩუმი და კრძო შეტაკებები ხდებოდა 20 ივნისამდე.

20 ივნისს ციხის სამზარეულოში მზარეულებს (უგოლოვნები არიან) პატარა შეტაკება მოუხდათ უფროსთან. მიზეზი შემდეგი იყო: თურმე რამოდენიმე წლის წინათ, რაც აქ სანოვაგე შემოაქვს ერთ კაცს და პირდაპირ სამზარეულოში შეაქვს ჩასაბარებლათ. ეს „კანონის“ კაცს „უსტავის“ შეურაცხყოფათ უცვნია და „უბრძანებია“—სანოვაგის მომტანს სამზარეულოში ნუ შემოუშვებთ, გარეთვე გამოართვით, რაც მოიტანოსო. აი ამ პატარა და უმნიშვნელო „განკარგულებამ“ გამოიწვია ის ციხისათვის დიადი და არა ჩვეულებრივი ამბავი, რომელმაც „ყოვლად შემძლებელი“ ადმინისტრაცია საგონებელში ჩააგდო.

მზარეულებმა უფროსის ამ განკარგულებაზე პროტესტი განაცხადეს, სადილის მოხარშვას თავი მიანებეს და გარეთ ეზოში გამოვიდნენ. მათ შეუერთდნენ დანარჩენი „უგოლოვნებიც“ და პოლიტიკურებიც და დაიწყო საერთო მღელვარება. ამ დროს პოლიტიკურებმა უფროსს მოსთხოვეს, რომ საავათმყოფოში მოთავსებულ ამხ. ქალებისათვის კარები გაეღოთ. როცა ერთი ნაწილი პოლიტიკურებისა უფროსთან იყო, მეორე ნაწილმა „უგოლოვნებთან“ ერთათ ძალით გაალებინა საავათმყოფოში გასავალი კარები და მიადგნენ თვით საავათმყოფოს. აქ მყოფნი, გარდა უძლური ავადმყოფებისა, ყველანი ფეხზე დადგნენ, პოლიტიკური ქალები მასცვივდნენ დარაჯებს წაართვეს გასაღებები და თვითონ დაალეს კარებები. ამის შემდეგ ერთათ შეგროვილნი გაეშურენ, დანარჩენ ამხანაგებთან შესაერთებლათ.

ამნაირივე რევოლიუციონურის გზით გაიღო ბევრი სხვა კარებიც ისე, რომ ყველა ტუსაღებმა, რიცხვით 450-დე, ერთ ეზოში მოიყარეს თავი და მოითხოვეს პროკურორი. უიმისოთ ზანტი ჩინოვნიკები, ახლა გამოცოცხლდნენ და მაშინვე პროკურორთან აფრინეს კაცი.

(დასასრული იქნება).

# კავკასია

**ბათუმი.** სამხედრო ორგანიზაციამ ბათუმის კომიტეტთან რ. ს. დ. მ. პ. საჭიროდ სცნო გააცნოს ამხანაგება და მოქალაქეებს იმ რეზოლიუციას, რომელიც გამოიტანეს ნალმოსნებმა, საპიორებმა, არტილერიის მე 2, 3 და მეხუთე როტებმა რიცხვით 972 კაცმა და გაუგზავნეს სახელმწიფო სათათბიროში მუშა დეპუტატს მახაილჩენკოს.

სამხედრო ორგანიზაცია სთხოვს იმ ამხანაგ ჯარის კაცებს, რომლებიც არ გაცნობია ამ რეზოლიუციას, გაარჩიოს და შეუერთოს თავიანთი ხმა შეგნებულ სალდათ-მოქალაქეების ამ დადგენილებას.

„ჩვენ ბათუმის გარნიზონის ჯარის-კაცებმა, ნალმოსნებმა, ციხის არტილერიის მე-2, 3 და 5 როტებმა და არდაგ ნელებმა რიცხვით 972 კაცმა წავიკითხეთ რა სახელმწიფო სათათბიროს მუშათა დეპუტატების მოწოდება და გავარჩიეთ-რა ის დავადგინეთ შემდეგი:

თვითმპყრობელმა მთავრობამ თავისი ხანგრძლივი ძალმომრეობით სრულიათ გაანადგურა და უკიდურეს სიღატაკამდე მიიყვანა ჩვენი სამშობლო

გლეხებს არ აქვთ მიწა და სიმშილით იხოცებიან; ფაბრიკები და ზავოდები

დახურულია და მუშები ათასობით ქუჩაზე ყრია.

მთავრობის მოხელეები განუკითხავათ ბრძანებლობენ და ხალხის ფულებს იტაცებენ.

ჯარის კაცები და მატროსები საშინლათ იჩაგრებიან ყაზარმულ დისციპლინის გამო.

სახელმწიფო სათათბირომ გაარკვია რუსეთის მდგომარეობა და ითხოვა, ცოტათი მაინც შეემსუბუქებია მთავრობას გლეხების მდგომარეობა და ამისათვის წაერთმია ყველა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო და საეკლესიო მიწები, და გაეყიდა ნაწილი მემამულეთა მიწებისა; ითხოვა თავისუფლება ყველა მოქალაქეთათვის და გაუმჯობესება ჯარის ყაზარმულ ცხოვრებისა.

ყველა თხოვნაზე სათათბირომ სრული უარი მიიღო.

მთავრობამ ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას არ სურს ანგარიში გაუწიოს ხალხის მოთხოვნილებებს—მის გაჭირვებას, რომ მას წინანდებურათ სურს ხალხის ყვლეფა და დამონავება, ქვეყნის თავის ნებაზე მართვა.

ჩვენ ჯარისკაცები ხალხის შვილნი ვართ, ხალხის ტკივილი, ჩვენი ტკივილიცაა, მისი ტანჯვა, ჩვენი ტანჯვაა. ჩვენ სრულიათ ვეთანხმებით სახელმწიფო სათათბიროს მუშათა დეპუტატებს და ვაცხადებთ, რომ ყოველივე ძალღონით მხარს დაუჭერთ მუშებს და გლეხებს წარმომადგენლებს მათ ბრძოლაში ხალხის კეთილდღეობისათვის.

გაუმარჯოს ჯარის და ხალხის ერთობას!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

## პარტიის ცხოვრება

ამ რამდენიმე დღის წინათ პოლონეთის და ლიტვის სოციალდემოკრატიის სიეზდი მომხდარა. სიეზდზე 35 ათასი მუშის წარმომადგენელს მიუღია მონაწილეობა; მიუღიათ რეზოლიუცია, რომელიც სათათბიროს ბოიკოტს **არ სთვლის** შემცდარ ტაკტიკათ. ამას გარდა სიეზდს უარუყვია ც. კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია სათათბიროს უმრავლესობის მიერ არჩეული სამინისტროს მხარის დაჭერაზე და სხ.

## მუშათა ცხოვრება

რკინის გზის მოძრაობის და ტელეგრაფის განგანყოფილების მოსამსახურეების და მუშების საერთო კრებაზე გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: რადგან ჩვენ რიცხვით 40 კაცი ადმინისტრაციის განკარგულებას ჩვენი დათხოვნის შესახებ უსამართლოთ ვთვლით, ამიტომ საზოგადოების და მუშების საყურადღებოთ დაცლილ ადგილებს ბოიკოტის ქვეშ ვაცხადებთ.

ხელს აწერს 40 კაცი.

ამავე კრებამ ლიანდაგზე მომუშავე ამხანაგების საყურადღებოთ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

1) უკან დაბრუნდენ და მხარი დაუჭირონ დათხოვნილ ამხანაგებს.

იმ ორმა ამხან. რომელიც ბორჯომში და შორაპანში იმყოფებიან და აგრეთვე სასწორების გამკეთებლებმა, არ ურდა გადასცილდენ თავის ნაწილს და სხვისი მოვალეობა არ იკისრონ.

## რ უ ს ე თ ი

**მეფის სამსახური ფუჭათ არ ჩაივლის.** პარიჟიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ცნობილმა გენ. ბოგდანოვიჩმა უცხოეთის ბანკებში 3 მილიონი მანათი შეიტანა. ეს ფული გენერალს თავის „პატრიოტულ“ მოღვაწეობის დროს შეუკრებია.

**ჩირაღდნიანი ყაზახთა აფიცერი.** სოფელ ანდრეევსკაიაში ყაზახთა აფიცერმა ანთებული ჩალის კონა დაიკავა ხელში, მოახტა ცხენს და ქუჩაში გააჭენა, თანვე იმუქრებოდა, სოფელს ცეცხლი უნდა წავუკიდოო. გზაში გლეხი შეხვდა, აფიცერმა წინ გაიგდო გლეხი და მთელი ვერსტ-ნახევარი არბენინა შეუსვენებლივ. შემდეგ ყაზახებს გადასცა და უბრძანა, ამ გლეხს თქვენებურათ გაუსწორდითო. ყაზახებმა უარი განაცხადეს აფიცრის ბრძანებაზე და გლეხს ხელი არ ახლეს.

**მაღალი კადეტები.** „მშრომელთა ჯგუფმა“ გადაწყვიტა სრული ამნისტიის პროექტის შეტანა სახელმწიფო სათათბიროში. „ხალხის თავისუფლების“ პარტიამ მსჯელობა იქონია ამის შესახებ და გადაწყვიტა უარყოს ეს კანონპროექტი. პარტია იმ აზრისაა, რომ ამნისტიის გამოცხადება მეფის უფლებას შეადგენს და მისი მოთხოვნა კონფლიქტს გამოიწვევსო.

**სალდათების მოთხოვნა.** ოდესაში სალდათების მიტინგმა გადასწყვიტა შემდეგი: „სახელმწიფო სათათბირო ვალდებულია ჯარის ყველა ნაწილებში თავისი კომისარები გაგზავნოს და გამოიძიოს ჯარის უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობა. მივმართავთ რა მშრომელთა ჯგუფს, ჩვენ, ჯარის კაცები, სრულ მხარის დაჭერას აღვუთქვამთ სათათბიროს ყველა ნამდვილ დემოკრატიულ მოთხოვნებს.“

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

**კიევი.** 22 ივნისი. ოფიციალური ცნობით კორჟევოში არეულობის ამბავი რუსეთის სააგენტოს დაუმახინჯებია. გლეხებმა გაფიცვა გამოაცხადეს და ყველა მუშებს სამუშაოზე ხელი აღებინეს. როცა სტრაჟნიკებმა ორი გლეხი დაიჭირეს, გლეხები დაეცენ იმათ და ცდილობდენ წაერთმიათ დაჭრილები. ბოქაულმა აჰერში გაისროლა, გლეხები გაიფანტენ. მეორე დღეს კაზაკებმა მოითხოვეს ის გლეხები, რომლებიც იმათ თავს დაესხენ. როცა პასუხათ სროლა მიიღეს იმათაც უპა უხეს. მოკლეს ერთი ქალი, სასიკვდილოთ დასჭრეს ერთი გლეხი და ერთი მსუბუქათ.

**მოსკოვი.** 22 ივნისი. საღამოს „დევიჩი“ მონასტერთან მოხდა დიდებული, მრავალრიცხოვანი მიტინგი. პოლიციელებს, რომლებიც ხალხის გაფანტვას ცდილობდენ ხალხმა უკივლა და ქვები დაუშინა. გამოიწვიეს ჟანდარმები. ჟანდარმებმა ჰაერში ისროლეს ხალხი გაიფანტა. დაიჭირეს ორი ორატორი და უპოვეს პროკლამაციები და თოფის პატრონები.

23 ივნისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. თავმჯდომარეობს თავ. დოლგორუკოვი. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ შეკითხვები სამხედრო მინისტრს მინისტრთა თავმჯდომარისთვის გადაუცია. კრებების თავისუფლების საკითხის კომისიის არჩევა ორშაბათისათვის გადაიდო. შემდეგ სათათბირო ბელოსტოკის ამბების განხილვას შეუდგა. მოხსენებას **შჩეპკინი** კითხულობს და დაწვრილებით ახასიათებს ბელასტოკში მომხდარ დარბევას. ორატორი ამბობს, რომ დარბევის ნამდვილი დამწყების ვინაობის შეუცდომლათ აღმოჩენა თითქმის შეუძლებელია და ეჭვი შეაქვს, შეიძლება აფეთქება ანარქისტებმა მოახდინეს, თუმცა საეჭვოა რომ ასეთი საქმე ორგანიზაციას მოეხდინოს, რადგან უკანასკნელი ალბათ მოისაზრებდა, რომ ამას ებრაელთა დარბევა მოჰყვებაო. ისიც შეიძლება რომ პირველი აფეთქება მცარცველთა საქმე იყოს ან და პოლიციას მოეხდინოს, რადგან პოლიციამ წინ-დაწინ იცოდა, რომ დარბევა უნდა დაწყებულიყო და დღეც დანიშნა დაწყებისათვის. პრისტავი შერემეტიევი აშკარათ ემუქრებოდა ებრაელებს, აგიკლებთო. ამასვე ექადოდა ებრაელებს ჟანდარმთა პოდპოლკოვნიკი გრიბოედოვიო. შემდეგ ორატორმა დაასურათა თვით აკლება, როგორ უჩვენებდა პოლიცია ადგილს ამკლებლებს და თუ ვინიცობაა ებრაელები წინააღმდეგობას გაუწევდენ დამრბევლებს, როგორ მიყავდა ჯარი და ახვრეტინებდა „ურჩ“ ებრაელებს. პირველ ორ დღეს, როგორც „პოგრომშჩიკები“ ამბობდენ, მხოლოდ კვლა შეიძლებოდა, ძარცვა კი მხოლოდ „ურიების“ იყო ნებადართული. პოლიცია მონაწილეობასაც იღებდა დარბევაში, აგრეთვე ჯარიც, განსაკუთრებით აფიცრები. რაც შეეხება გუბერნატორს. ის ვალდებული იყო დარბევის დაწყების დღეს (გუბერნატორმა კარგათ იცოდა ეს დღე) ბელასტოკში უნდა მოსულიყო, ის კი არ მოვიდა, ამისათვის სამართალში უნდა იქნას მიცემული. ერთათ ერთი საშვალება, რომ შემდეგისთვის მაინც თავიდან ავიცილოთ ასეთი დარბევა—თავის დაცვის უფლებაა. რუსეთის „პოგრომები“ ოსმალეთის სომეხთა დარბევას გავს. თუ რომ დარბევის პოლიტიკა კიდევ გაგრძელდა რუსეთში, მაშინ უცხოეთი ჩაერევა რუსეთის საქმეებში, როგორც ოსმალეთში მოხდა.

ვინ არის დამნაშავე? შინაგან საქმეთა მინისტრმა აკლების პირველ დღესვე, როგორც კი მოელაპარაკა სათათბიროს წევრებს, მაშინვე გაგზავნა ტელეგრამა აკლების შეწყვეტის ბრძანებით. მინისტრი, რომ ასე არ მოქცეულიყო, მაშინ დამნაშავე ის იქნებოდა. იმ მინისტრმა, რომელიც გვარწმუნებდა, რომ ის სრული უფლებებით არის აღჭურვილი, გაგზავნა ტელეგრამა, მაგრამ მის ბრძანებას ყური არ ათხოვეს, სჩანს მინისტრს არავითარი უფლებები არ ქონია და, თუ ის პატიოსანი კაცია, უნდა დაანებოს სამსახურს თავი. გუბერნატორი პასუხის მგებელია, როგორც უფლებით აღჭურვილი პირი, მაგრამ გუბერნატორი ადამიანი არ არის, რადგანაც ის მთელი დღე დადიოდა დაჭრილ-დახოცილთა გვამებს შორის და ერთიც არ შეჩერდა, არ უბრძანა დაჭრილების აკრეფა. გუბერნატორს უნდა აღმოეჩინა დახმარება დაშავებულთათვის და თუ სამხედრო პირები ამის ნებას არ აძლევდენ, იმას სამსახურისთვის თავი უნდა დაენებებია. ებრაელები ჯარმა და პოლიციამ აიკლეს. სადაც ისინი არ ყოფილან ებრაელებისთვის ხელი არავის უხლია. სურაჟის ქუჩა სულ ებრაელებით არის დასახლებული, მაგრამ ჯარმა იქ შესვლა ვერ გაბედა და იქ მცხოვრებნი დარბევას გადარჩენ, სხვა ადგილას კი მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს კლავდენ. სად იყვნენ რევოლიუციონერები, რომლებსაც ოფიციალური მოხსენებით, ებრძოდა ჯარი ბელოსტოკში? მე სიბრალული კი არა—სიმართლეს ვითხოვ. მთავრობის მოხსენება და ის მოწოდებები, რომლებსაც ბნელი ძალები ავრცელებდენ ჯარში, სულ ერთი და იმავე შინაარსის არის. როგორც პროკლამაციები, ისე მთავრობის მოხსენება ახალ აკლებისკენ იწვევს ხალხს. ძნელი გამოსარკვევია ვინ კის მოჰპარა ასეთი მშვენიერი შინაარსი! პროკლამაციების ავტორებმა მთავრობას, თუ მთავრობამ პროკლამაციების ავტორებს? შინაგან საქმეთა მინისტრი სასამართლოში ხედავს ხსნას, მაგრამ სადაური სამართალია როცა მოწმეების უმეტესობა დაიხოცა, ბევრი დაჭრილია და დანარჩენები შიშით ვერაფერს გაბედავენ. ახლა მე მოგმართავთ თქვენ ებრაელი ხალხის სახელით და გთხოვთ განაცხადოთ, რომ ის საშინელი ამბები, რომლებიც ახლა ბელოსტოკში მოხდა და წინეთ მთელ რუსეთში ხდებოდა, რუსეთის ხალხის საქმე არ არის,—რომ ეს საშინელი ცილის წამებაა. თქვენ უნდა ხმა მაღლა დაიყვიროთ რომ ახლანდელი მინისტრები სახელმწიფოს მმართველებათ-კი არ უნდა იყვნენ, ისინი სისხლის სამართალში უნდა მისცეს ხალხმა (ატაცებული ტაშის კვრაა). იაკობსონის შემდეგ ლაპარაკობს ფედოროვსკი, და მერე მღვდელი **აფანასიევი**—ის საშინლათ ჰკიცხავს მთავრობას. „ნუ თუ ვერ გრძნობს მთავრობა, რომ ხალხს ამდენი მოთმინება აღარ აქვს, რომ მეორეთ მოსვლა მისთვის ახლოა. (აპლოდისმენტები). სხდომა შეწყდა. 4 საათზე სხდომა ისევ დაიწყო. თავ. **ლვოვმა** აწერა დამშეული გუბერნიების მდგომარეობა ორატორი ამბობს, რომ ამის მსგავსი დეზორგანიზაცია არც ერთ სახელმწიფოში არ არის. სურსათის კომისია წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შეეკითხონ გუბერნიების და მაზრების საერობო სამმართველოებს, რამდენათ და ვინ უფრო დამშეულია. ლვოვის შემდეგ ილაპარაკა საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენელმა **გერცენშტეინმა**, რომელმაც განაცხადა: საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა გულახდილათ აღიარა, რომ აქამდის მთავრობა შემოსავალზე გაცილებით მეტ ფულს ხარჯავდა. ორატორი ამბობს, რომ „დუმის“ გახსნის შემდეგ თითეული კაპეიკის ანგარიში უნდა იცოდეს ხალხმა, ბიუჯეტი ახლავე უნდა გადაათვალიერონ. ორატორი ახალი სესხის წინააღმდეგია: დამშეულებისთვის ახლავე 15 მილიონი მანეთი უნდა გადაიდვას, ბიუჯეტი თუნდ შემოკლდეს. ორატორი ფიქრობს, რომ ფინანსთა მინისტრს მშვენივრათ ესმის ამ საქმის ტეხნიკა. მაგ. მიწათმფლობელობის მინისტრს მისცეს 5 მილ. მან. გადასახლებულთათვის, თუმცა სტიშინსკის ძალიან უყვარს გლეხების გადასახლება, მარა წროულს ველარავის გადაასახლებენ. ამის დაგვარად ყოფილა საშუალება. (აპლოდისმენტები,) ლაპარაკობს **ფონრუცენი.** ის სესხის წინააღმდეგია და ბიუჯეტის შემოკლებას ითხოვს, მინისტრების ხალხს არაფერი სწამს. იმათ სამსახურს თავი უნდა დაანებონ. ფონ რაუტცენის შემდეგ ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმა! ის ცდილობს რამენაირად თავი გაიმართლოს.

**ბათუმი.** გუშინ შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა ბრბო თავს დაესხა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას და ფული გაიტაცა.

**ვარშავა.** კუგაის ქუჩაზე პატრულმა რევოლვერი უნახა 18 წლის ვილჰელმ რადომსკის და ხიშტებით და შაშკით მოკლა ის.

**პოლტავა.** ლავბენის საოლქო სასამართლოში გაირჩა 23 გლეხის საქმე, რომელთაც რამდენიმე მამულის დარბევა ბრალდებოდათ. 5 გადაუწყვიტეს უფლებების ჩამორთმევა და რვა თვით ციხეში დაპატიმრება. სხვები კი გაამართლეს.

**ხარკოვი.** სამსახურიდან დათხოვნილმა მუშამ ფომენკომ ფერდში მძიმეთ დასჭრა კურსკო-სევასტოპოლის გზის უფროსი ინჟენერი ივანოვსკი.

**მიტავა.** ფრიდრიხშტადის მაზრაში აღმოაჩინეს თვალსაჩინო ადგილზე დადგმული ძეგლი. ძეგლი ბრძოლაში დაღუპული რევოლიუციონერების გვარებით და შესაფერი წარწერებით არის მოფენილი, ძეგლის სიმძიმე 50 ფუთს უდრის. პოლიციამ ძეგლი დაანგრია. დანგრეულია ტელეფონი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ქალაქის „უპრავამ“ პრინციპიალურათ თანხმობა გამოაცხადა ქალაქის მიერ დაქირავებულ მუშების დაზღვევაზე.—პეტერბურგის ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა დღეს კითხვა აღძრა შემდეგი გაზეთების რედაქტორების სისხლის სამართალში მიცემაზე: „ბირჟევია ვედომოსტი“, „გოლოსი“, „ტრუდი“, „მისლი“, „ნაშა ჟიზნი“, „ობრივი“ და „ეხო“. ამ გაზეთებს დაურღვევიათ 1905 წ. 24 ნოემბრის კანონი.

რედ.-გამომცემელი .ნ. ახმეტელაშვილი

მსწრაფ-მბეჭდავი „ლამპარი“ სემენოვის ქუჩა № 4.